

BMJ Best Practice

ლისტერობი

უშუალოდ პაციენტის მოვლის ადგილას



ბოლო განახლება: Aug 01, 2023

სარჩევი

მიმოხილვა	3
შეჯამება	3
განსაზღვრება	3
თეორია	4
ეპიდემიოლოგია	4
ეტიოლოგია	5
პათოფიზიოლოგია	5
შემთხვევის ანამნეზი	5
დიაგნოზი	7
მიდგომა	7
ანამნეზი და გასინჯვა	9
რისკფაქტორები	11
კვლევები	13
დიფერენციული დიაგნოზები	17
მართვა	19
მიდგომა	19
მკურნალობის ალგორითმის მიმოხილვა	21
მკურნალობის ალგორითმი	22
პირველადი პრევენცია	28
მეორეული პრევენცია	28
განხილვები პაციენტთან	29
მეთვალყურეობა	30
მონიტორინგი	30
გართულებები	30
პროგნოზი	30
გაიდლაინები	31
დიაგნოსტიკური გაიდლაინები	31
მკურნალობის გაიდლაინები	31
წყაროები	32
განმარტება	38

შეჯამება

ლისტერიოზი არის გრამდადებითი ბაქტერიული ინფექცია, რომელიც ასნებოვნებს ახალშობილებს, ორსულებს, 45-50 წელზე უფროსი ასაკის მოზრდილებსა და იმუნოკომპრომისულ პირებს.

მეტწილად საკვებისმიერი დაავადებაა. პრევენცია მოიცავს ხელის ჰიგიენის ნორმების დაცვას, საკვების სწორად მომზადებას და გაურეცხავი ან ნარჩენი საკვების მიღებისგან თავის შეკავებას.

ეპიდემიოტექნიკების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება მთელ მსოფლიოში. ამასთან ინფიცირების წყარო იყო ნესვი, გაყინული ბოსტნეული და ცივი ღორის ხორცი.

ყველაზე ხშირი კლინიკური გამოვლინებებია ბაქტერიემია, სეფსისი, მენინგიტი, ენცეფალიტი, თავის ტვინის აბსცესი, ენდოკარდიტი და გასტროენტერიტი.

ლაბორატორიული დიაგნოზის ძირითადი კომპონენტებია კულტურის ნიმუში კლინიკურად სტერილური ადგილიდან და სეროლოგიური ტესტები.

ამპიცილინი თავდაპირველი სისტემური (არაგასტროენტერიული) გამოვლინების უპირატესი მკურნალობაა. მხოლოდ გასტროენტერიტი, როგორც წესი, თვითგანკურნებადი.

განსაზღვრება

ლისტერიოზი კვებითი ინფექციაა, რომელსაც იწვევს მოძრავი, გრამდადებითი ბაცილა, არ წარმოქმნის სპორებს, . მისი ინციდენტობა შედარებით დაბალია ზოგად მოსახლეობაში.^[1]

ეპიდემიოლოგია

მიუხედავად იმისა, რომ *Listeria* ბუნებაში ფართოდ არის გავრცელებული, ხოლო *L. monocytogenes*-ის გადაცემა მეტწილად ხშირია, ლისტერიოზის წლური ინციდენტობა ადამიანებში დაბალია.[10] შემთხვევების უმეტესობა სპორადულია და აღინიშნება მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში; სიკვდილობის მაჩვენებელი შეიძლება იყოს მაღალი.[11] [12] [13] [14] [15] ინციდენტობის მონაცემები დაბალშემოსავლიან ქვეყნებში, როგორც წესი, არ არის ხელმისაწვდომი.[16] *Listeria*-ს იზოლირება შეიძლება ჯანმრთელი მოზრდილების 5%-ის განავლიდან და დაავადება შეიძლება ამ პოპულაციიდან გავრცელდეს.[17]

იმუნოკომპეტენტურ პაციენტებში იშვიათად გვხვდება დისემინირებული დაავადება, თუმცა შესაძლებელია განვითარდეს გასტროენტერიტის სინდრომი. პათოგენი განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ახალშობილებში (ასაკი <1 თვე), მოზრდილებში (ასაკი >50 წელი), ორსულებში (ყველა პაციენტის 30%) და იმუნოკომპრომისულ პირებში (აივ/მიდსის, კიბოს, ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნეების მქონე პირები, კორტიკოსტეროიდულ თერაპიაზე მყოფი პირები ან ტრანსპლანტაციის რეციპიენტები).[1] [18] [19] უჩრედული იმუნიტეტის დაქვეითება ასოცირებულია დაავადების მაღალ ინციდენტობასთან.

მიმოიხილეს ლისტერიოზის მქონე 1933 პაციენტის მიკრობიოლოგიური და ეპიდემიოლოგიური მონაცემები ინგლისსა და უელსში, 1990-2004 წლებში. ინციდენტობა მნიშვნელოვნად გაიზარდა 2001-დან 2004 წლამდე. აღნიშნული ზრდის მიზეზები კვლავ უცნობია, თუმცა ინციდენტობა იყო სპორადული და მოიცავდა 60 ან მეტი წლის პაციენტებს ბაქტერიემიით.[20]

აშშ-ში 2010 წელს დაფიქსირდა 0.24 შემთხვევა/100 000 მოსახლეზე (ლაბორატორიულად დადასტურებული). ორსულობასთან ასოცირებული ლისტერიოზის სიხშირე იყო 13-ჯერ უფრო მეტი, ვიდრე ზოგად მოსახლეობაში.[21] [22] აშშ-ში ინტენსიური მონიტორინგისა და პოტენციურად დაბინძურებული საკვები პროდუქტების ამოღების შედეგად პერინატალური ლისტერიოზის პრევალენტობა შემცირდა 44%-ით.[17]

ინვაზიური ლისტერიოზის ფარდობითი რისკი აშშ-ში ბევრად უფრო მაღალია ლათინოამერიკელებში, ვიდრე არალათინოსებში, როგორც ზოგად მოსახლეობაში, ასევე ორსულებში.[23] რაც შეეხება ლათინოამერიკელ ქალებს, ორსულობასთან დაკავშირებული ლისტერიოზის მიახლოებითი ინციდენტობა 5.09 შემთხვევიდან (2004-2006) გაიზარდა 12.37 შემთხვევამდე (2007-2009) ყოველ 100 000 მოსახლეზე.[24] ორსულობასთან დაკავშირებული ლისტერიოზის ინციდენტობა არალათინოამერიკელ ქალებში ბევრად უფრო ნაკლებად გაიზარდა დროის იმავე პერიოდში.

ავსტრალიაში, 2018 წლის იანვრიდან აპრილამდე, დაფიქსირდა ლისტერიოზის ეპიდემიოლოგია.[25] ყველა პაციენტი იყო ჰოსპიტალიზებული. ეპიდემიოლოგიურმა კვლევამ დაადგინა, რომ ეპიდემიოლოგიის წყარო იყო როკმელონი (cantaloupe melons) ერთი მწარმოებლისგან.[25]

2018 წელს დაავადებათა კონტროლის ევროპული ცენტრის ცნობით, ინვაზიური *L. monocytogenes* ინფექციების ეპიდემიოლოგია, რომელიც დადასტურებულია მთლიანი გენომის სექვენირებით და უკავშირდება გაყინულ სიმინდს და, შესაძლოა, სხვა გაყინულ ბოსტნეულს, დიდ ბრიტანეთში ევროკავშირის წევრ 4 ქვეყანაში (ავსტრია, დანია, ფინეთი, შვედეთი). 2015 წლიდან დაფიქსირდა 47 შემთხვევა და, 2018 წლის ივნისის მდგომარეობით, 9 პაციენტი გარდაიცვალა ინფექციით ან მის გამო.[21]

2017 წელს დაფიქსირდა ლისტერიოზის 2 502 შემთხვევა 30 ქვეყანაში (ევროკავშირი-ევროზონა), ყოველ 100 000 მოსახლეზე დაფიქსირდა 0.42 შემთხვევა (დაკორექტირებული ასაკზე).[26] 2019 წელს, ესპანეთში, დაფიქსირდა ინფიცირებულ ღორთან დაკავშირებული *L. monocytogenes*-ის ინფექციის 222 დადასტურებული შემთხვევა; ასევე აღირიცხა 3 ფატალური და 6 სპონტანური აბორტის შემთხვევა.

ეტიოლოგია

ლისტერიოზი საკვებისმიერი დაავადებაა. *Listeria monocytogenes* ერთადერთია *Listeria* 6 სახეობიდან, რომელიც იწვევს ადამიანის დაინფიცირებას.[1] [27] [28] ეს არის გრამ-დადებითი მიკრობი, არ წარმოქმნის სპორებს, ფაკულტატურად ანაერობულია.[5] [27] [29] აღმოჩენილია სხვადასხვა სეროტიპები, თუმცა მათ გამოვლენას დიაგნოსტიკური მნიშვნელობა არ აქვს, გარდა ეპიდემიოლოგიური კვლევებისა.[29] მიკრობი იზრდება 1°C - 37°C (33.8°F - 98.6°F) ტემპერატურაზე, თუმცა ზრდა ოპტიმალურია 30°C - 37°C (86°-98.6°F) ტემპერატურაზე. *Listeria* უკეთ იზრდება 4°C - 10°C (39.2°-50°F) ტემპერატურაზე, ვიდრე სხვა პათოგენები. აღნიშნული ფენომენი ცნობილია "ცივი გაღვივების" სახელწოდებით და ხელს უწყობს *Listeria*-ს იდენტიფიკაციას.[27] [28] პათოგენური მიკრობი ბუნებაში ფართოდაა გავრცელებული და ხშირად აბინძურებს სხვადასხვა ტიპის საკვებს. მათ შორის ყველს, არაპასტერიზებულ რძეს და რძის პროდუქტებს, მზა დელიკატურ სალათებს, მაცივარში შენახულ პამეტებს, და, ხორცის პროდუქტებს, შებოლილ თევზს, უმ ბოსტნეულს, დაჭრილ ნესვს და სხვა[7] [30] [31] [32]

ინფიცირების იშვიათი გზაა ვერტიკალური (პლაცენტის გავლით ან დაბინძურებული სამშობიარო გზებით) და პირდაპირი კონტაქტი (ვეტერინარები, ფერმერები) ცხოველების დაბინძურებულ ემბრიონებთან ან ფრინველებთან.[2] [4] მღრღნელებში შეიძლება შეგვხვდეს უსიმპტომო მტარებლობის შემთხვევები.[33]

პათოფიზიოლოგია

დაავადების გამომწვევისათვის საჭირო ინოკულუმი დამოკიდებულია პაციენტის იმუნოლოგიურ პროფილზე და კუჭში სიმუცეზე.[1] [3] იმუნოკომპრომისული ან ხანდაზმული პირები, ორსულები და ახალშობილები უფრო მგრძნობიარენი არიან შედარებით დაქვეითებული უჯრედული იმუნიტეტის და კუჭის არაადეკვატური მუავიანობის გამო. იმუნიზაცია და ლისტერიოზის მიმართ რეზისტენტობა უზრუნველყოფილია სენსიბილიზებული ლიმფოციტებით და არა შრატის სპეციფიკური ანტისხეულებით. აღნიშნული მექანიზმი იწვევს ლისტერიოზის შემთხვევათა რაოდენობის ზრდას შიდსის (განსაკუთრებით თუ CD4 <100/მმ³), ასევე ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნეების მქონე პაციენტებში და პაციენტებში, რომლებიც გადიან ქიმიოთერაპიას.[1] [18] [19] ინკუბაციური პერიოდი მერყეობს 10-დან 70 დღემდე. პათოგენის ვირულენტობა ასევე განსაზღვრავს კლინიკური დაავადების სიმძიმეს და დამოკიდებულია სპეციფიკურ სეროტიპზე. სეროტიპების იდენტიფიკაცია ხდება *Listeria*-ს ეპიდემიის დროს.

Listeria არის უჯრედშიდა პათოგენი, რომელსაც აქვს მასპინძელი უჯრედის საკვები ნივთიერებების გამოყენების უნარი გამრავლებისა და იმუნური სისტემისგან თავდაცვისათვის უჯრედიდან უჯრედზე მოძრაობისას. რკინა აუცილებელია ბაქტერიის მეტაბოლიზმისა და ზრდისთვის; შესაბამისად, ინფექცია შეიძლება განვითარდეს რკინის სიჭარბის ფონზე (რაც ასევე იმუნოსუპრესიის ერთ-ერთი ფორმაა).[5] [29] [34] სისხლის მიმოქცევის გზით, *Listeria*-ს შეუძლია მოიცვას ყველა ორგანო, მაგრამ ყველაზე ხშირად მოიცავს ცენტრალურ ნერვულ სისტემას და პლაცენტას.[1] [2]

შემთხვევის ანამნეზი

შემთხვევის ანამნეზი #1

65 წლის მამაკაცს აღენიშნება მენტალური სტატუსის ცვლილებები, თავის ტკივილი, ცხელება და მზარდი ლეტარგია 2-3 დღის განმავლობაში. პაციენტს ანამნეზში აქვს სისტემური წითელი მგლურა და იღებს 20 მგ პრედნიზოლონს ყოველდღიურად. პაციენტის ოჯახის გადმოცემით, მას ჰქონდა ხანმოკლე გასტროინტესტინური მოვლენები დიარეით, რომელიც ჰოსპიტალიზაციამდე 10 დღით ადრე ალაგდა. მისი ავადმყოფობა მათ დაუკავშირეს რბილი ყველის და ცივი ხორცის ასორტის მიღებას.

ჰოსპიტალიზაციის დროს პაციენტი შეფასდა გლაზგოს კომის შკალით 5/15 ქულით, აღინიშნა კეფის კუნთების რიგიდობა და ცხელება 38.5°C (101.3°F).

სხვა გამოვლინებები

ლისტერიოზის უფრო ხშირი გამოვლინებები იმუნოკომპრომისულ, ორსულ და ახალშობილ პაციენტებში ბაქტერიემია და სეფსისია.[1] [2] [3] [4] ინფექციამ შეიძლება გამოიწვიოს ლოკალური გამოვლინებები, ისეთი როგორიცაა: ელენთის, თირკმლისა და ღვიძლის ადგილობრივი აბსცესები; ართრიტი; კონიუნქტივითი და კანის დაავადებები.[1] [2] [5] ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექციამ შეიძლება გამოიწვიოს თავის ტვინის აბსცესები, კრანული ნერვის დამბლები, გულყრები, მოძრაობის დარღვევები და რომბენცეფალიტი (თავის ტვინის ღეროს ენცეფალიტი ჯანმრთელ მოზრდილებში).[1] [6] [7] [8] ბაქტერიემიამ შეიძლება დააზიანოს ბუნებრივი ან ხელოვნური სარქველები.

ორსულებში შეიძლება გამოვლინდეს გრიპისმაგვარი ავადმყოფობის სახით.[2] თუმცა, ორსულებში ბაქტერიემიის მაღალი სიხშირის მიუხედავად, ცენტრალური ნერვული სისტემის ჩართულობა შედარებით იშვიათია. ლისტერიოზი დაკავშირებულია მუცლის მოშლის მომატებულ ინციდენტობასთან.[2] სეპტიური აბორტი ახალშობილის სეპტიური გრანულომატოზის გამო (ტრანს-პლაცენტარული ტრანსმისია და მიკროაბსცესების დისემინირება) წარმოადგენს სერიოზულ გართულებას.[2] ახალშობილებში კლინიკური ნიშნები შეიძლება უმნიშვნელოდ იყოს გამოხატული და ცხელება შეიძლება არ განვითარდეს.[2]

კუჭნასწლავის სიმპტომები დიარეა, გულისრევა და ღებინება ცხელებასთან ერთად შეიძლება წარმოქმნას ფებრილური გასტროენტერიტის კლინიკური სურათი, რომელიც დაბინძურებული საკვების მიღების გამო ვითარდება. შეიძლება გამოვლინდეს სპორადულად ან ეპიდემიურად დაავადების სახით.[9] მკურნალობის გარეშე ლისტერიოზმა შეიძლება გამოიწვიოს დისემინირებული სისხლძარღვშიდა შედეგება, მულტიორგანული უკმარისობა, შოკი და სიკვდილი.[1]

მიდგომა

დიაგნოზი ეფუძნება კლინიკურ ეჭვს და პათოგენის გამოყოფას კლინიკურად სტერილური ადგილებიდან.[8] [40]

უნდა გაირკვეს ანამნეზში დაბინძურებული საკვების მიღება, როგორცაა საქონლის, ღორის ან ფრინველის უმი ხორცი, არაპასტერიზებული რძე და მისი პროდუქტები; რბილი ყველი; უმი ბოსტნეული; საკვების ნარჩენები, განსაკუთრებით მაღალი რისკის პოპულაციაში (ხანდაზმულები, ორსულები, იმუნოკომპრომისული პირები).

თუ ახალშობილის დედა ინფიცირებული იყო, არსებობს ვერტიკალური გადადების რისკი პლაცენტის გავლით ან პირდაპირი კონტაქტით დაბინძურებულ სამშობიარო გზებთან.[30] [31]

კლინიკური შეფასება

იშვიათია ინვაზიური დაავადება იმუნოკომპეტენტურ პირებში. ზოგად მოსახლეობაში განავალში პათოგენის უსიმპტომო მტარებლობის 5%-იანი პრევალენტობა ფიქსირდება. როდესაც ჯანმრთელი მოზრდილი სიმპტომურად ინფიცირებულია, კლინიკური გამოვლინება წააგავს ფებრილურ გასტროენტერიტს, რომელიც სპორადულად ან ეპიდემიის სახით ვლინდება.[5] [31] [32] [35]

სისტემური ინფექციის რისკის მქონე პაციენტებში ბაქტერიემიისა და სეფსისის ნიშნებია: ცხელება, შემცივნება, ჰიპოტენზია და თავის ტკივილი. ამ ნიშნების ფონზე საჭიროა შესწავლილ იქნეს სისხლის კულტურა ანტიბიოტიკოთერაპიის დაწყებამდე. გულის შუილის შემთხვევაში ეჭვი უნდა მივითანოთ ენდოკარდიტზე. შეიძლება გამოვლინდეს მენინგიტის, ტვინის აბსცესის ან მენინგოენცეფალიტის სიმპტომები და ნიშნები კრანიალური ნერვების პათოლოგიებით, კისრის გაშეშება, ფსიქიკური სტატუსის ცვლილებით, ფოკალური ნევროლოგიური ან ნათხემის სიმპტომებით. თავის ტვინის ღეროს მძიმე ენცეფალიტი (რომბენცეფალიტი) შეიძლება განვითარდეს კრანიალური ნერვების დაზიანებისა და სიკვდილის მაღალი რისკით. აღნიშნულ მდგომარეობებში შესაძლებელია განვითარდეს გულყრებიც.

ახალშობილებში, 45-50 წელზე უფროს მოზრდილებსა და ორსულებში კლინიკური სურათი ზოგჯერ ატიპურია და ვლინდება შეუძლოდ ყოფნა.[1] [2] [9] ორსულებს შეიძლება ჰქონდეთ გრიპისმაგვარი სიმპტომები (ლეთარგია, ცხელება, ართრალგია, მიალგია, კანკალი, დაღლილობა, დიარეა, ღებინება და მუცლის ტკივილი).[2] ახალშობილებში შესაძლებელია ცუდად ნაკვები იყვნენ. ლისტერიით გამოწვეული ქორიოამონიონიტის ნიშნებს (როგორცაა ინტრანატალური ცხელება) ხშირად აქვს ადგილი ნეონატალური ინფექციის შემთხვევებში.[2] [4]

უსიმპტომო ორსულებში, რომლებიც აცხადებენ, რომ მიიღეს რეალიზაციიდან ამოღებული პროდუქტი ან შესაძლო დაბინძურებული პროდუქტი არ არის საჭირო ტესტირება. უსიმპტომო ორსულები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გამოვიკვლიოთ, თუ დაბინძურებული საკვების მიღების შემდეგ 2 თვეში მათ სიმპტომები აღენიშნებათ.[22]

ლაბორატორული ტესტები

ზოგადი საკითხები:

- სისხლის საერთო ანალიზი გვეხმარება ლეიკოციტოზისა თუ თრომბოციტოპენიის გამოსავლენად. თრომბოციტოპენია შეიძლება მიუთითებდეს დისემინირებულ სისხლძარღვშია შედედებაზე (DIC).
- თუ ეჭვქვეშაა დისემინირებული სისხლძარღვშია შედედება, საჭიროა კოაგულოგრამისა და D-დიმერის განსაზღვრა.

- ორსულობის ტესტი შარდში უნდა გაკეთდეს რეპროდუქტიული ასაკის ქალებში, რადგანაც ლისტერიოზი ნებისმიერ ტრიმესტრში შეიძლება გამოვლინდეს.
- ეპიდემიოლოგიისა და მძიმე სპორადული ინფექციების შემთხვევაში, საექვო საკვები შეიძლება ანალიზზე გაიგზავნოს.
- გასტროენტერიტის მქონე პაციენტებში შეიძლება საჭირო გახდეს განავლის კულტურები, სეროლოგიური ტესტი ან კვერცხების/პარაზიტების კვლევები კლინიკური ეჭვების გამო სხვა პათოგენების გამოსარიცხად. განავლის ტესტი კვერცხებსა და პარაზიტებზე, ELISA ან აგლუტინაციის ტესტები ჩვეულებრივ უარყოფითი იქნება სხვა პათოგენებზე, როგორცაა *Campylobacter jejuni* ან *Cryptosporidium*.

მიკროორგანიზმის გამოყოფა:

- ლისტერიოზის თავდაპირველი დიაგნოზი ისმება პათოგენის იზოლირებით ჩვეულებრივი სტერილური ქსოვილებიდან (სისხლი, თავზურგტვინის სითხე [CSF], ამნიონური სითხე, პლაცენტა ან სანაყოფე სითხე). [1] [5] სისხლის კულტივირებას ტიპურ შემთხვევებში ახასიათებს 0%-იანი მგრძნობელობა არაინვაზიური ფორმის დროს, ხოლო 75%-მდე მგრძნობელობა სისტემური ინფექციის შემთხვევაში. [1]
- არასტერილური ქსოვილებიდან წარმატებული იზოლირების სიხშირე ვარიაბელურია. განავლის კულტურები შეიძლება დადებითი იყოს ჯანმრთელი უსიმპტომო პოპულაციის 5%-ში და 87%-მდე ლისტერიით გამოწვეული ფებრილური გასტროენტერიტის აფეთქებებში. [1]
- ნიმუშები ნორმაში სტერილური ქსოვილებიდან, როგორცაა თავზურგტვინის სითხე, შეიძლება პირდაპირ დაითესოს ტრიპტონ სოიოს აგარზე, რომელიც შეიცავს ცხვრის, ცხენის ან ბოცვერის 5% სისხლს. CSF კულტურები დადებითია ცენტრალური ნერვული სისტემის (CNS) ინფექციის მქონე პაციენტთა 20%-დან 40%-ში. [1] [6] [7] [32]

ლუმბალური პუნქცია:

- თავზურგტვინის სითხის (CSF) ტესტირება საჭიროა ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექციის ნიშნებისა და სიმპტომების მქონე პაციენტებში, ჩვეულებრივ, თავის რადიოლოგიური კვლევის შემდეგ. ტიპურ შემთხვევებში თავზურგტვინის სითხეში ლეიკოციტების რაოდენობაა <5000 უჯრედი/მმ³, ხოლო ცილის კონცენტრაცია <2 გ/ლ (<200 მგ/დლ). ცენტრალური ნერვული სისტემის ადრეული ინფექციის შემთხვევაში, თავზურგტვინის სითხის მაჩვენებლები შეიძლება ნორმაში იყოს და, თუ ასეა, ლუმბალური პუნქცია უნდა განმეორდეს 12-24 საათის შემდეგ.
- თავზურგტვინის სითხის CSF გრამის წესით შეღებვა მნიშვნელოვანია დიაგნოზის დასადგენად ლისტერიული მენინგიტის შემთხვევათა 75%-ში. [1] [5] რადგანაც პათოგენი წააგავს დიფთერიოიდებსა და პნევმოკოკს, ასევე მისი გაუფერულების ტენდენციის გათვალისწინებით, გრამის წესით შეღებვის სპეციფიკურობა დაბალია.

საკვების ტესტირება:

- საკვების სინჯი, რომელიც შეიცავს *Listeria*-ს სახეობის 100-ზე მეტ კოლონიის მაფორმირებელ ერთეულს/გრამზე, საჭიროებს გამოკვლევებს. [37] საკვების დაბინძურების ხარისხი შეიძლება განისაზღვროს ორგანიზმის უშუალო დათვლით მყარ სელექტიურ ნიადაგზე. *Listeria* ქმნის მოლურჯო-მომწვანო კოლონიებს *Listeria*-ს ქრომოგენულ იზოლაციურ მედიუმზე. კოლონიების დადასტურება პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქციით ხდება. [37]

პერინატალური ლისტერიოზი:

- დასტურდება პლაცენტის, ამნიონური სითხის, განავლისა და საშვილოსნოს ყელის ნაცხის ნიმუშების კულტივირებით.
- მეკონიუმის გრამის წესით შეღებვა და კულტივირება შეიძლება დაგვეხმაროს ახალშობილებში ლისტერიოზის დიაგნოსტიკისათვის. [27] [28] [31]

სხვა ლაბორატორიული კვლევები:

- ლისტერიის სეროლოგია: დაბალი სპეციფიკურობა ანტიგენური ჯვარედინი რეაქტიულობის გამო სხვა გრამდადებით ბაქტერიებთან; დაბალი მგრძნობელობა, განსაკუთრებით ინფექციის ადრეულ ეტაპზე.[1] [27] [28] კეთდება ეპიდემიოლოგიურ ეჭვის შემთხვევაში.
- სისხლის პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია: საჭიროებს სპეციალიზებულ დიაგნოსტიკურ ცენტრს, თუმცა ახასიათებს მაღალი მგრძნობელობა და სპეციფიკურობა და შეგვიძლია გამოვიყენოთ იმ შემთხვევებში, როდესაც სისხლის კულტივირების დიაგნოსტიკური ღირებულება დაბალია ნიმუშის აღებამდე ანტიბიოტიკების გამოყენების გამო.

რადიოლოგიური და ფიზიოლოგიური კვლევები

ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექციის დროს სტრუქტურული დაზიანებების გამოსარიცხად რადიოლოგიური კვლევებიდან გამოიყენება კომპიუტერული ტომოგრაფია (CT) და მაგნიტურ-რეზონანსული კვლევა (MRI).

თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია, როგორც წესი, კეთდება ლუმბურ პუნქციამდე. მენინგიტის, მენინგოენცეფალიტის და კერძოდ თავის ტვინის ღეროს ინფექციების დროს თავის ტვინის კტ დიაგნოსტიკურად ჩამოუვარდება მაგნიტურ რეზონანსულ სკანირებას.[6] [7] [32]

ენდოკარდიტზე ეჭვის შემთხვევაში ექოკარდიოგრაფიით ფასდება სარქველების დაზიანება. ელექტროენცეფალოგრაფია შეიძლება გაკეთდეს გულყრების გამოვლენის ან გართულებული მდგომარეობის შემთხვევაში.

ანამნეზი და გასინჯვა

ძირითადი დიაგნოსტიკური ფაქტორები

რისკ-ფაქტორების არსებობა (ხშირი)

- ძლიერი რისკფაქტორებია: ექსპოზიცია დაბინძურებულ საკვებზე, ორსულობა, ასაკი >45-50 წ ან ნეონატალური ასაკი, იმუნოკომპრომისული სტატუსი.

თავისტკივილი (ხშირი)

- რეტროსპექტული კვლევების თანახმად, L monocytogenes-ით ცენტრალური ნერვული სისტემის ინფიციების შედეგად პაციენტების დაახლოებით ნახევარს აღენიშნება თავის ტკივილი.[1] [41]

შეცვლილი მენტალური სტატუსი (იშვიათი)

- შეიძლება გამოვლინდეს სეფსისის ან ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექციის დროს.[1] [41]

სხვა დიაგნოსტიკური ფაქტორები

ცხელება (ხშირი)

- შეიძლება მიუთითებდეს ბაქტერიემიაზე ან ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექციაზე, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებში.[1] [41]
- შეიძლება გამოვლინდეს ფეხბრილური გასტროენტერიტის დროს, რომელიც იმუნოკომპეტენტურ პირებში ინფექციის ყველაზე ხშირი გამოვლინებაა.

დიაგნოზი და მუცლის ტკივილი (ხშირი)

- გვხვდება ფებრილური გასტროენტერიტის შემთხვევაში.
- ინვაზიური ლისტერიოზი იშვიათია იმუნოკომპეტენტურ პირებში. განავლის კულტურები შეიძლება დადებითი იყოს ჯანმრთელი უსიმპტომო პოპულაციის 5%-ში და 87%-მდე ლისტერიით გამოწვეული ფებრილური გასტროენტერიტის აფეთქებებში.[1]
- როდესაც ჯანმრთელი მოზრდილი სიმპტომურად ინფიცირებულია, კლინიკური გამოვლინება წაგავს ფებრილურ გასტროენტერიტს, რომელიც სპორადულად ან ეპიდემიის სახით ვლინდება.[5] [31] [32] [35]

გენერალიზებული შეუძლოდ ყოფნა (ხშირი)

- გენერალიზებული და ატიური ან მცირე/უმნიშვნელო სიმპტომები გვხვდება ხანდაზმულებსა და ახალშობილებში.

გრიპისმაგვარი სიმპტომები ორსულობის დროს (ხშირი)

- ორსულებში ლისტერიოზი ხშირად ვლინდება ცხელებით, ართრალგიით, მიალგიით, თავის ტკივილით, დაღლილობით, დიარეით, ღებინებითა და მუცლის ტკივილით.[2]

საკვების მიღების გაძნელება (ახალშობილი) (ხშირი)

- ამ ასაკობრივ ჯგუფში შეიძლება იყოს ინფექციის ერთადერთი მაჩვენებელი.

მენინგიზმი (იშვიათი)

- შეიძლება გამოვლინდეს კეფის კუნთების რიგიდობა, რომელიც მიუთითებს მენინგიზმზე. ინციდენტობა უფრო დაბალია, ვიდრე სხვა პათოგენებით გამოწვეული მენინგიტის დროს.[1] [6]

კრანიალი ნერვის დაზიანება (იშვიათი)

- მამოძრავებელი ან მგრძნობელობითი დარღვევა შეიძლება გამოვლინდეს გართულებული მენინგიტისა და რომბენცეფალიტის ფონზე.[6]

ნათხემის დაზიანების შნიშნები (იშვიათი)

- შეიძლება გამოვლინდეს ტვინის ღეროს ენცეფალიტის დროს.

ფოკალური ნევროლოგიური ნიშნები/სიმპტომები (იშვიათი)

- შეიძლება გამოვლინდეს თავის ტვინის აბსცესის შემთხვევაში.

გულყრები (იშვიათი)

- როგორც წესი, ვლინდება ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექციის მოგვიანებით სტადიაზე.

ჰიპოტენზია (იშვიათი)

- შეიძლება გამოვლინდეს სეპტიკური შოკის დროს.

ცხელება ორსულობის დროს (იშვიათი)

- ლისტერიით გამოწვეული ქორიოამნიონიტის ნიშნებს (როგორიცაა ინტრანატალური ცხელება) ხშირად აქვს ადგილი ნეონატალური ინფექციის შემთხვევებში.[2] [4]

სისხლდენა და ჰემორაგია (იშვიათი)

- ვლინდება მძიმე შემთხვევებში, დისემინირებულ სისხლძარღვშიდა კოაგულაციასთან ერთად. სიკვდილობა მაღალია.

გულის შუილი (იშვიათი)

- ლისტერიამ შეიძლება დააზიანოს როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური სარქველი. ენდოკარდიტი უფრო ხშირია იმუნოსუპრესიულ პაციენტებში.

რისკფაქტორები

ძლიერი

დაბინძურებულ საკვებზე ექსპოზიცია

- საკვები შეიძლება დაბინძურდეს *Listeria*-თი, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული ბუნებაში. ბაქტერიას შეიძლება შეიცავდეს უმი, არასაკმარისად მომზადებული ან პროცესირებული ხორცი და ბოსტნეული; რბილი ყველი; ნარჩენი საკვები.[7] [30] [31] [35] [36] ბაქტერიის პერორალური მიღება წარმოადგენს გადაცემის ძირითად და ყველაზე ხშირ გზას.[30]
- *Listeria* spp. სახეობების 100-ზე მეტი კოლონიის წარმომქმნელი ერთეულის (CFU)/გ არსებობა მიიჩნევა არადამაკმაყოფილებლად და ასეთ შემთხვევაში საჭიროა დაუყოვნებლივი გამოკვლევების ჩატარება.[37]

ასაკი >45-50 წ

- ხანდაზმული ასაკის მოზრდილებში *Listeria*-ს ახასიათებს აფინურობა ცენტრალური ნერვული სისტემისადმი. იგი იწვევს მენინგიტს, მენინგოენცეფალიტს, აბსცესებს, თავის ტვინის ღეროს ენცეფალიტს და გულყრებს.[1]

ორსულობა

- ორსული ქალები მეტად არიან მიდრეკილი *Listeria*-ს ინფექციის მიმართ, ვინაიდან მათ აქვთ შედარებით უფრო დარღვეული უჯრედული იმუნიტეტი და კუჭის არასათანადო მუშაობა. ლისტერიოზი დაკავშირებულია მუცლის მოშლის მაღალ ინციდენტობასთან.[4]
- ახალშობილის სეპტიკური გრანულომატოზის შედეგად სეპტიკური აბორტი (პლაცენტის გავლით ბაქტერიების გადაცემა და მიკროაბსცესების დისემინირება) მძიმე გართულებაა.[4]

ახალშობილები

- ტრანსპლაცენტური გადაცემა, ინფიცირებული სამშობიარო გზებით გადაცემა და ჯვარედინი დაბინძურება ნეონატალურ კლინიკებში *Listeria*-თი გამოწვეული ნეონატალური ბაქტერიემიის და სეფსისის გავრცელების გზებია.[2] [38]

იმუნოკომპრომისული მდგომარეობები

- კიბო, ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნეები, ქიმიოთერაპია, კორტიკოსტეროიდები, ტრანსპლანტაცია, შიდა CD4 უჯრედების რაოდენობით <100 მმ³ და სპლენექტომია მჭიდრო კორელაციამა უჯრედული იმუნიტეტის დაქვეითებასთან და წარმოადგენს ეპიდემიოლოგიურ ფაქტორს ლისტერიის ინფექციისთვის.[1] [18] [19] რკინა აუცილებელია ბაქტერიის მეტაბოლიზმისა და ზრდისათვის; შესაბამისად, ინფექცია შეიძლება განვითარდეს რკინის სიჭარბის ფონზე (იმუნოსუპრესიის ერთ-ერთი ფორმა).[5] [29] [34]

სუსტი

კუჭის მუავიანობის დარღვევა

- კუჭის მუავიანობის დარღვევა (მაგ. აქლორპიდრია) დაკავშირებულია პერორალურად მიღებული ბაქტერიული ინოკულუმის ზომასთან, რაც საკვებისმიერი ავადმყოფობის გამომწვევი ფაქტორია.^[1]
[3]

კვლევები

1-ლად შესაკვეთი ტესტები

ტესტი	შედეგი
FBC • ლეიკოციტოზი შეიძლება იყოს ინვაზიური ბაქტერიული ინფექციის პირველი ნიშანი. • თრომბოციტოპენია შეიძლება მიუთითებდეს დისემინირებული სისხლძარღვშიდა შედეგების (DIC) დაწყებაზე, რომელიც სეფსისთანაა დაკავშირებული.	მომატებულია ლეიკოციტების რაოდენობა, დაბალია თრომბოციტების რაოდენობა
შარდის ტესტი ორსულობაზე • ლისტერიოზი შეიძლება გამოვლინდეს ორსულობის ნებისმიერ ტრიმესტრში. ორსულობის გამორიცხვა შეიძლება საჭირო იყოს რეპროდუქციული ასაკის ქალებში.	შესაძლოა დადებითი იყოს
სისხლის კულტურები • კეთდება ბაქტერიემაზე მაღალი ეჭვის შემთხვევაში (დადებითი ეპიდემიოლოგიური რისკ-ფაქტორები) ან ცხელებისა და მძიმე მიმდინარეობის გამოვლენისას. ცენტრალური ნერვული სისტემის (CNS) ინფექციების დროს ბაქტერიემა გვხვდება შემთხვევათა 50%-ში, რაც მნიშვნელოვნად იზრდება თავის ტვინის აბსცესების მქონე პაციენტებში.[1] მგრძნობელობა ბევრად დაბალია თუ პაციენტმა უკვე მიიღო ანტიბიოტიკები.	დადებითი
ტვინის MRI • კეთდება ცნს-ის ინფექციაზე ეჭვის შემთხვევაში • MRI უფრო მგრძნობიარეა, ვიდრე CT ენცეფალიტის დროს და თავის ტვინის ღეროს დაზიანებების აღმოსაჩენად.[6] [7] [32]	შეიძლება გამოვლინდეს ცნს-ის დაზიანება
თავის ტვინის CT • კეთდება ცნს-ის ინფექციაზე ეჭვის შემთხვევაში • CT, როგორც წესი, ტარდება ლუმბურ პუნქციამდე წარმონაქმნების გამოსარიცხად. • MRI უფრო მგრძნობიარეა, ვიდრე CT ენცეფალიტის დროს და თავის ტვინის ღეროს დაზიანებების აღმოსაჩენად.[6] [7] [32]	შეიძლება გამოვლინდეს ცნს-ის დაზიანება
თავზურგტვინის სითხის ანალიზი • თავზურგტვინის სითხის ტესტირება სრულდება ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექციის ნიშნებისა და სიმპტომების მქონე პაციენტებში, ჩვეულებრივ, თავის რადიოლოგიური კვლევის შემდეგ. ტიპურ შემთხვევებში თავზურგტვინის სითხეში ლეიკოციტების რაოდენობაა <5000 უჯრედი/მმ³, ხოლო ცილის კონცენტრაცია <2 გ/ლ (<200 მგ/დლ). ცენტრალური ნერვული სისტემის ადრეული ინფექციის შემთხვევაში, თავზურგტვინის სითხის მაჩვენებლები შეიძლება ნორმაში იყოს და, თუ ასეა, ლუმბალური პუნქცია უნდა განმეორდეს 12-24 საათის შემდეგ. • თავზურგტვინის სითხის გრამის წესით შეღებვა მნიშვნელოვანია დიაგნოზის დასადგენად ლისტერიული მენინგიტის შემთხვევათა 75%-ში.[1] [5] რადგანაც პათოგენი წააგავს დიფთერიოიდებსა და პნევმოკოკს, ასევე მისი გაუფერულების ტენდენციის გათვალისწინებით, გრამის წესით შეღებვის სპეციფიკურობა დაბალია. • დიაგნოზის დამადასტურებელია გრამდადებითი მიკროორგანიზმის კულტურის გამოყოფა. თავზურგტვინის სითხის კულტურა	ლეიკოციტების რაოდენობის ცვლილება; დადებითია გრამის წესით შეღებვა და კულტურა

ტესტი	შედეგი
დადებითია ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექციის შემთხვევათა 20-40%-ში.[1] [6] [7] [32]	

სხვა გასათვალისწინებელი ტესტები

ტესტი	შედეგი
პროთრომბინის დრო (PT) და PTT • შეიძლება გამოვლინდეს სისხლდენა, რომელიც დისემინირებულ სისხლძარღვშიდა კოაგულაციას უკავშირდება.	შესაძლოა იყოს ანომალიური
D-დიმერი • შეიძლება გამოვლინდეს სისხლდენა, რომელიც დისემინირებულ სისხლძარღვშიდა კოაგულაციას უკავშირდება.	შეიძლება მომატებული იყოს
პლაცენტისა და ამნიონური სითხის კულტივირება • კეთდება ახალშობილის ინფექციის შემთხვევაში ან დედაში ინვაზიური დაავადების სიმპტომების შემთხვევაში.	დადებითი
საშვილოსნოს ყელის ნაცხის კულტივირება • შეიძლება გაკეთდეს პლაცენტის, ამნიონური სითხის და განავლის კულტურის პარალელურად, რათა პერინატალური ლისტერიოზიც შეფასდეს.	დადებითი
მეკონიუმის შეღებვა გრამის წესით და კულტივირება • შეიძლება დაგვეხმაროს ნეონატალური ლისტერიოზის დიაგნოსტიკაში.[27] [28] [31]	დადებითი
ლისტერიას სეროლოგია • კეთდება ეპიდემიოქეზებზე ეჭვის შემთხვევაში. სპეციფიკურობა დაბალია ჯვარედინი რეაქტიულობის გამო არაპათოგენულ ლისტერიაზე და სხვა გრამ-დადებითი მიკროორგანიზმებზე. შეიძლება უარყოფითი იყოს ინფექციის ადრეულ ეტაპზე.	შესაძლოა დადებითი იყოს
საკვების ანალიზი • კეთდება როცა ეჭვია ეპიდემიოქეზებზე ან ვლინდება მძიმე სპორადული ინფექციები.	შესაძლოა დადებითი იყოს
განავლის ბაქტერიოლოგიური ანალიზი • შეიძლება გაკეთდეს ეპიდემიოქეზების დროს ან მძიმე სპორადული ინფექციების გამო. შეიძლება გაკეთდეს გასტროენტერიტის მქონე პაციენტებში და ჯანმრთელ პირებში ეპიდემიოქეზების დროს. ჯანმრთელი მტარებლები შეადგენენ მოსახლეობის 5%-ს.[1] ლისტერიით გამოწვეული გასტროენტერიტის მქონე პაციენტებს შორის განავლის კულტურები შეიძლება დადებითი იყოს 87%-მდე შემთხვევაში.[1]	დადებითია ლისტერიაზე; უარყოფითია სხვა მიკროორგანიზმებზე
სისხლის პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია • შეიძლება გაკეთდეს იმ შემთხვევაში, თუ ლისტერიოზზე ეჭვი მაღალია და კულტურა უარყოფითია. სისხლის კულტურა შეიძლება უარყოფითი იყოს ანტიბიოტიკოთერაპიის შემდეგ, რაც ამცირებს მის მგრძნობელობას.	შესაძლოა დადებითი იყოს
განავლის სხვა კვლევები • განავლის ტესტი კვერცხებსა და პარაზიტებზე, ELISA ან აგლუტინაციის ტესტები ჩვეულებრივ უარყოფითი იქნება სხვა პათოგენებზე, როგორიცაა <i>Campylobacter jejuni</i> ან <i>Cryptosporidium</i>.	უარყოფითია სხვა პათოგენებზე
ელექტრონცეფალოგრამა • გულყრები შეიძლება გამოვლინდეს ცნს ინფექციის მოგვიანებით სტადიაზე.	შეიძლება მიუთითებდეს გულყრის აქტივობაზე

ტესტი	შედეგი
ექოკარდიოგრაფიამ • ენდოკარდიტი უფრო ხშირია იმუნოკომპრომისულ მოსახლეობაში. შეიძლება გაკეთდეს ბაქტერიემიის მტკიცებულების ან შუილის არსებობის შემთხვევაში.	შეიძლება გამოვლინდეს სარქვლის ვეგეტაცია

ახალი ტესტები

ტესტი	შედეგი
მენინგიტის/ენცეფალიტის პანელი • პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქციის ავტომატური მულტიპლექს ტესტირება თავზურგტვინის სითხეზე ხშირი პათოგენების გამოსავლენად, მაგ. <i>Listeria monocytogenes</i>, რომლებიც იწვევენ ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექციებს.	შესაძლოა დადებითი იყოს

დიფერენციული დიაგნოზები

დაავადება/ მდგომარეობა	განმასხვავებელი ნიშნები/ სიმპტომები	მადიფერენცირებელი ტესტები
სხვა ბაქტერიული მენინგიტები	• არ არსებობს ნიშანი ან სიმპტომი, რომელიც საიმედოდ მოახდენს ლისტერიოზის დიფერენცირებას ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექციის (CNS) სხვა მიზეზებისგან. • კისრის კეფის კუნთების რიგიდობა უფრო ხშირია ლისტერიისგან განსხვავებული პათოგენებით გამოწვეული მენინგიტის დროს.[1] [6]	• თავზურგტვინის სითხის (CSF) გრამის წესით შეღებვა, CSF კულტურა და სისხლის კულტურა არის არჩევანის კვლევები. • Streptococcus pneumoniae, Neisseria meningitidis და Haemophilus influenzae არაჰოსპიტალური ბაქტერიული მენინგიტის ხშირი მიზეზებია. მენინგიტი/ენცეფალიტის პანელის ტესტები თავზურგტვინის სითხეზე ხშირი ბაქტერიული პათოგენების გამოსავლენად, რომლებიც იწვევენ მენინგიტს ან ენცეფალიტს.
თავის ტვინის სხვა აბსცესები	• არ არსებობს ნიშანი ან სიმპტომი, რომელიც ზუსტად მოახდენს ლისტერიოზისა და ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექციის სხვა შესაძლო ეტიოლოგიების დიფერენცირებას.	• კულტივირებითა და გრამის წესით შეღებვით შესაძლებელია სხვა პათოგენებისგან დიფერენცირება. ასევე, სისხლის კულტურა ხშირად დადებითია ლისტერიოზის დროს.
ვირუსული გასტროენტერიტი	• ვირუსულ გასტროენტერიტს შეიძლება თან ახლდეს ზემო სასუნთქი გზების სიმპტომები. • ანამნეზში შეიძლება არ იყოს ლისტერიოზზე საეჭვო საკვების მიღება.	• განავლის ტესტები უარყოფითია ლისტერიაზე.
სხვა ბაქტერიული გასტროენტერიტები	• კლინიკური დიფერენცირებისთვის გამოიყენება სოციალური ანამნეზი, საკვების მიღების ანამნეზი, მოგზაურობის ანამნეზი, ინკუბაციური პერიოდი, ანამნეზში კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაბინძურება, დიზენტერიის არსებობა, სპორადული ან ეპიდემიური შემთხვევები. პირველი ნიშნები და სიმპტომები შეიძლება ლისტერიოზის მსგავსი იყოს. შიგელას ინფექციის დროს, განავალი შეიძლება შეიცავდეს სისხლს ან ჩირქს.	• განავლის ტესტები ან სეროლოგია შეიძლება დადებითი იყოს ისეთ მიკროორგანიზმებზე, როგორიცაა Campylobacter jejuni, Salmonella ან Shigella.

დაავადება/ მდგომარეობა	განმასხვავებელი ნიშნები/ სიმპტომები	მადიფერენცირებელი ტესტები
ტოქსოპლაზმოზი	• ანამნეზში უმი ხორცის მიღება ან სახლში კატის ყოლა. • აუხსნელი ცხელება და გენერალიზებული ლიმფადენიტი.	• სეროლოგიით შეიძლება გამოვლინდეს IgM და IgG ანტისხეულები Toxoplasma gondii წინააღმდეგ. • ინფიცირებული ლიმფური კვანძის მიკროსკოპული კვლევით შეიძლება დადასტურდეს ტოქსოპლაზმოზი.
სარკოიდოზი	• დაზიანება შეიძლება მოიცავდეს ნებისმიერ ორგანოს, თუმცა კვანძოვანი ერითემა უფრო სპეციფიკურია სარკოიდოზისთვის.	• გულმკერდის რადიოგრაფიით შეიძლება გამოვლინდეს ჰილარული ლიმფური კვანძების ორმხრივი გადიდება. • ლიმფური კვანძის ან დაზიანებული ქსოვილის ბიოფსიით შეიძლება გამოვლინდეს გრანულომები ცენტრალური ნეკროზის გარეშე. • შეიძლება გამოვლინდეს ჰიპერკალციურია.
ვასკულიტი	• სისტემური სიმპტომები და ნიშნები შეიძლება მსგავსი იყოს, რის გამოც დიაგნოსტიკა რთულდება.	• დაზიანებული ორგანოს ბიოფსიით ვლინდება ნებისმიერი ზომის სისხლძარღვის თრომბოზი და ანთება და სისხლძარღვის კედლის ინვაზია ანთებითი უჯრედების მიერ.
სეპტიური აბორტი	• სხვა გამომწვევებთან შედარებით განმასხვავებელი ნიშნები არ არსებობს. • ორსულებში ცხელება, შემცივნება და ბაქტერიემია ნებისმიერი ორგანოს ინფექციის გამო შეიძლება გახდეს ქორიოამნიონიტის, ნაყოფის სეფსისისა და სიკვდილის მიზეზი.	• გამომწვევ ეტიოლოგიურ მიკროორგანიზმს გამოვყოფთ სისხლიდან, პლაცენტიდან და ამნიონური სითხის კულტივირებით.

მიდგომა

მკურნალობა ეფუძნება ინდივიდუალურ მახასიათებლებს, როგორცაა ორსულობა, იმუნური დეფიციტი, ანტიბიოტიკომგრძნობელობის ცოდნა და ინფექციის სპეციფიკური ადგილი.[1]

მწირია პროსპექტული, კონტროლირებული კვლევები, რომლებიც მკურნალობას ან მედიკამენტების არჩევანს განსაზღვრავს.[1]

ლისტერიული გასტროენტერიტი

ლისტერიით გამოწვეული გასტროენტერიტი ტიპურ შემთხვევებში თვითგანკურნებადია და ჩვეულებრივ არ საჭიროებს ანტიბიოტიკოთერაპიას.[1] [2] [6] [42]

რეკომენდებულია სითხის სტატუსის შენარჩუნება და დამხმარე მკურნალობა საჭიროებისამებრ. თუმცა, ფებრილური გასტროენტერიტის მქონე იმუნოკომპრომისული, ხანდაზმული (>60წ) ან ორსული პაციენტები საჭიროებენ მკურნალობას ამოქსიცილინით ან ტრიმეთოპრიმი/სულფამეთოქსაზოლით 3-5 დღის განმავლობაში.[43]

ტრიმეთოპრიმი/სულფამეთოქსაზოლი არ არის რეკომენდებული ორსულობის პირველ ტრიმესტრში, ფოლიუმის მჟავას მეტაბოლიზმზე ზემოქმედების გამო.[2] [22]

სისტემური ინფექცია (არა გასტროენტერიტი ან მენინგიტი/მენინგოენცეფალიტი)

ამპიცილინი განიხილება პირველი რიგის პრეპარატად სისტემური ინფექციის მქონე პაციენტებში.[40] მძიმე ინფექციების და ბაქტერიემიის დროს რეკომენდებულია კომბინაციური თერაპია გენტამიცინით 14-21 დღის განმავლობაში.[40] გენტამიცინი უნდა გამოიყენოთ სიფრთხილით, რადგანაც მისი გამოყენება დაკავშირებულია თირკმლის უკმარისობასთან (ორი რეტროსპექტული კვლევის მიხედვით).[22] [44]

პენიცილინის მიმართ ალერგია ან აუტანლობა

პენიცილინის მიმართ ალერგიის ან აუტანლობის შემთხვევაში ეფექტურია ტრიმეთოპრიმი/სულფამეთოქსაზოლი.[1] [2] [8] [45] მეროპენემი ასევე შეიძლება გამოიყენოთ, თუმცა ეს დაკავშირებულია მკურნალობის ნაკლებ წარმატებასთან და სიკვდილობის მატებასთან.[46] [47] ტრიმეთოპრიმი/სულფამეთოქსაზოლი არ არის რეკომენდებული ორსულობის პირველ ტრიმესტრში, ფოლიუმის მჟავას მეტაბოლიზმზე ზემოქმედების გამო.[2] [22]

თავის ტვინის აბსცესი ან ენდოკარდიტი

თავის ტვინის აბსცესის სამკურნალო კურსი სულ მცირე 6-კვირიანია.[48] [49] მკურნალობის რეკომენდებული ხანგრძლივობა ენდოკარდიტის შემთხვევაში 4-6 კვირაა.[50] იმუნოკომპრომისულ პირებში მკურნალობის ხანგრძლივობა ვარიანტულია და დამოკიდებულია ინდივიდუალურ შემთხვევაზე.

სპეციალისტებთან კონსულტაცია და დამატებითი ქირურგიული მიმოხილვა შეიძლება საჭირო გახდეს ისეთი სინდრომების დროს, როგორცაა თავის ტვინის აბსცესი ან ენდოკარდიტი. სისხლის განმეორებითი კულტივირება შეიძლება საჭირო გახდეს ინფექციის ალავების დასადასტურებლად ბაქტერიემიისა და ენდოკარდიტის შემთხვევაში. თავის ტვინის განმეორებითი ვიზუალიზაცია ასევე შეიძლება საჭირო იყოს თავის ტვინის აბსცესის მკურნალობის შედეგის საკონტროლოდ.

მენინგიტი/მენინგოენცეფალიტი

მენინგიტი გვხვდება ინვაზიური ლისტერიოზის მქონე პაციენტების 30%-ში.[51] ანტიბიოტიკოთერაპიის დაწყების დაგვიანება დაკავშირებულია უარეს გამოსავალთან.[52] [53]

ემპირიული ანტიბიოტიკოთერაპია შესაძლო მენინგიტის დროს

შესაძლო მენინგიტის მქონე ყველა პაციენტში რეკომენდებულია ემპირიული ანტიბიოტიკოთერაპია.[54] იხილეთჩვენი მოდული ბაქტერიული მენინგიტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად.

ანტიბიოტიკოთერაპია დადასტურებული მენინგიტის დროს

ბრიტანეთის ინფექციური დაავადებების ასოციაცია რეკომენდაციას უწევს ინტრავენურ ამპიცილინს ან ამოქსიცილინს, როგორც პირველი რიგის თერაპიას.[54] გენტამიცინი შეიძლება დაემატოს, თუმცა უნდა გამოიყენოთ სიფრთხილით, რადგანაც მისი გამოყენება დაკავშირებულია თირკმლის უკმარისობასთან (ორი რეტროსპექტული კვლევის მიხედვით).[22] [44] თუ პაციენტი ალერგიულია პენიცილინის მიმართ, რეკომენდებულია ტრიმეთოპრიმ/სულფამეთოქსაზოლი.[54] მკურნალობის კურსი 21 დღეს შეადგენს.[1] [54] [55] იხილეთჩვენი მოდული ბაქტერიული მენინგიტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად.

სპეციალისტებთან კონსულტაცია და დამატებითი ქირურგიული მიმოხილვა შეიძლება საჭირო გახდეს ისეთი სინდრომების დროს, როგორიცაა თავის ტვინის აბსცესი ან ენდოკარდიტი. სისხლის განმეორებითი კულტივირება შეიძლება საჭირო გახდეს ინფექციის ალგების დასადასტურებლად ბაქტერიემიისა და ენდოკარდიტის შემთხვევაში. თავის ტვინის განმეორებითი ვიზუალიზაცია ასევე შეიძლება საჭირო იყოს თავის ტვინის აბსცესის მკურნალობის შედეგის საკონტროლოდ.

მნიშვნელოვანი საკითხები ორსულებში

რთულია ორსული ქალების იდენტიფიცირება, რომელთაც ესაჭიროებათ ტესტირება და მკურნალობა, ვინაიდან მათ ხშირად არასპეციფიკური სიმპტომები უვლინდებათ. თუმცა, ნაყოფის და ახალშობილის მაღალი სიკვდილობის და ავადობის რისკის გამო, ზღვარი *Listeria*-ს სისტემური ინფექციის სამკურნალოდ ორსულ ქალებში უნდა იყოს უფრო დაბლა.[17] [56] [57]

მტკიცებულება მწირია ანტიბიოტიკოთერაპიისთვის ოპტიმალური აგენტების და ხანგრძლივობის შესახებ ორსულებში. არჩევანი ემყარება კლინიკურ გამოცდილებას.[58] ორსულობის დროს პენიცილინები, როგორც წესი, უსაფრთხოდ ითვლება; ამოქსიცილინი ან ამპიცილინი არჩევის პრეპარატებია.[22] ტრიმეთოპრიმ/სულფამეთოქსაზოლი ალტერნატივას წარმოადგენს პენიცილინის მიმართ ალერგიის ან აუტანლობის მქონე პაციენტებში, თუმცა თავი უნდა ავარიდოთ პირველ ტრიმესტრში ფოლიუმის მუავის მეტაბოლიზმზე გავლენის გამო.[2] [22]

ამინოგლიკოზიდები არ უნდა დაენიშნოთ ორსულებში გარდა აუცილებელი შემთხვევებისა, როცა რისკს სარგებელი აჭარბებს. ამ შემთხვევაში გენტამიცინის გამოყენება დასაშვებია რადგანაც სმენისა და ვესტიბულური ნერვის დაზიანების ალბათობა უფრო დაბალია, ვიდრე სხვა ამინოგლიკოზიდების შემთხვევაში. გენტამიცინი ორსულობის დროს იშვიათად გამოიყენება. აუცილებელია კონსულტაცია ინფექციონისტთან.

არ არსებობს უსაფრთხოებისა და მიზნობრივი ეფექტურობის კვლევები, რომლებიც შეაფასებდა მეორე რიგის უსაფრთხო თერაპიას პენიცილინის მიმართ ალერგიულ ორსულებში. შეიძლება ალტერნატიული ვარიანტების, მაგ. მეროპენემის, ვანკომიცინის, ფთორქინოლონების, მაკროლიდების და ტეტრაციკლინების გამოყენება, თუმცა სარგებელი უნდა აჭარბებდეს რისკებს. გაიარეთ კონსულტაცია ინფექციონისტთან ალტერნატიული ანტიბიოტიკის შერჩევის თაობაზე.

თითოეულ პაციენტის მკურნალობაში მიდგომა უნდა იყოს ინდივიდუალური. რეკომენდებულია კონსულტაცია სპეციალისტ-ინფექციონისტთან. რეკომენდებულია ექსპერტის კონსულტაცია სისტემური ავადმყოფობის მქონე ორსულების შემთხვევაში.

მკურნალობის ალგორითმის მიმოხილვა

მიაქციეთ ყურადღება, რომ ფორმულა/მეცხანის გზა და დოზა შეიძლება განსხვავებული იყოს მედიკამენტების დასახელების და ბრენდების, ფორმულარის ან გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით. მკურნალობის შესახებ რეკომენდაციები სპეციფიკურად ეხება პაციენტების ჯგუფებს: [ob. განმარტება](#)

მწვავე		(შეჯამება)
გასტროენტერიტი		
■ იმუნოკომპეტენტური არაორსული: <60 წელი	1-ლი	დამხმარე მოვლა
■ იმუნოკომპრომიზებული, ≥60 წლის ან ორსული	1-ლი	ამოქსიცილინი ან ტრიმეთოპრიმ/სულფამეთოქსაზოლი
სისტემური ინფექცია: არა გასტროენტერიტი ან მენინგიტი/მენინგოენცეფალიტი		
	1-ლი	ამპიცილინი/ამპიცილინი
	დამატებით	გენტამიცინი
	მე-2	ტრიმეთოპრიმ/სულფამეთოქსაზოლი ან მეროპენემი
მენინგიტი/მენინგოენცეფალიტი		
	1-ლი	ამპიცილინი ან ამოქსიცილინი
	დამატებით	გენტამიცინი
	მე-2	ტრიმეთოპრიმ/სულფამეთოქსაზოლი

მკურნალობის ალგორითმი

მიაქციეთ ყურადღება, რომ ფორმულა/შეყვანის გზა და დოზა შეიძლება განსხვავებული იყოს მედიკამენტების დასახელების და ბრენდების, ფორმულარის ან გეოგრაფიული ადგილმდებარეობის

მიხედვით. მკურნალობის შესახებ რეკომენდაციები სპეციფიკურად ეხება პაციენტების ჯგუფებს: [ob](#).
[განმარტება](#)

მწვავე			
გასტროენტერიტი			
■ იმუნოკომპეტენტური არაორსული: <60 წელი	1-ლი	დამხმარე მოვლა	» ლისტერიით გამონეული გასტროენტერიტი ტიპურ შემთხვევებში თვითგანკურნებადია და არ საჭიროებს ანტიბიოტიკოთერაპიას.[1] [2] [6] [42] » რეკომენდებულია სითხის სტატუსის შენარჩუნება და დამხმარე მკურნალობა საჭიროებისამებრ.
■ იმუნოკომპრომისული, ≥60 წლის ან ორსული	1-ლი	ამოქსიცილინი ან ტრიმეთოპრიმი/სულფამეთოქსაზოლი	პირველადი პარამეტრები » ამოქსიცილინი: ბავშვები: დოზასთან დაკავშირებით მიმართეთ სპეციალისტს; მოზრდილები: 500 მგ პერორალურად, დღეში სამჯერ » ტრიმეთოპრიმი/სულფამეთოქსაზოლი: ბავშვებში: დოზასთან დაკავშირებით მიმართეთ სპეციალისტს; მოზრდილებში: 160/800 მგ პერორალურად, 2-ჯერ დღეში » ფებრილური გასტროენტერიტის მქონე იმუნოკომპრომისული, ხანდაზმული (>60წ) ან ორსული პაციენტები საჭიროებენ მკურნალობას ამოქსიცილინით ან ტრიმეთოპრიმი/სულფამეთოქსაზოლით.[43] » პენიცილინები, საზოგადოდ, უსაფრთხოდ ითვლება ორსულებში. ტრიმეთოპრიმი/სულფამეთოქსაზოლი არ არის რეკომენდებული ორსულობის პირველ ტრიმესტრში, ფოლიუმის მუავას მეტაბოლიზმზე ზემოქმედების გამო.[2] [22] მისი გამოყენება დასაშვებია მძიმე შემთხვევებში (როცა რისკს სარგებელი აჭარბებს), როგორც პენიცილინის ალტერნატიული მკურნალობა; თუმცა, აღნიშნული ჩვენების მხარდამჭერი კვლევები საკმარისად არ გვაქვს. » მკურნალობის კურსი: 3-5 დღე.
სისტემური ინფექცია: არა გასტროენტერიტი ან მენინგიტი/მენინგოენცეფალიტი			
	1-ლი	ამპიცილინი/ამპიცილინი	

მწვავე

პირველადი პარამეტრები

» **ამპიცილინ-ამპიცილინი:** ბავშვები: ღოზირების საკითხზე გაიარეთ კონსულტაცია სპეციალისტთან; მოზრდილები: 2 გ ინტრავენურად, ყოველ 6 საათში

» ამპიცილინი განიხილება პირველი რიგის პრეპარატად სისტემური ინფექციის მქონე პაციენტებში.[40] ორსულობის დროს ის უსაფრთხოდ ითვლება.[22]

» მკურნალობის კურსი: ბაქტერიემიის თერაპიის ხანგრძლივობა უმეტესად 14 დღეს შეადგენს. თავის ტვინის აბსცესის სამკურნალო კურსი სულ მცირე 6-კვირიანია.[48] [49] მკურნალობის რეკომენდებული ხანგრძლივობა ენდოკარდიტის შემთხვევაში 4-6 კვირაა.[50] იმუნოკომპრომისულ პირებში მკურნალობის ხანგრძლივობა ვარიაბელურია და დამოკიდებულია ინდივიდუალურ შემთხვევაზე.

» თავის ტვინის აბსცესისა და ენდოკარდიტის შემთხვევაში რეკომენდებულია ქირურგ-სპეციალისტის კონსულტაცია.

» სისხლის განმეორებითი კულტივირება შეიძლება საჭირო გახდეს ინფექციის ალბაგების დასადასტურებლად ბაქტერიემიისა და ენდოკარდიტის შემთხვევაში. თავის ტვინის განმეორებითი ვიზუალიზაცია ასევე შეიძლება საჭირო იყოს თავის ტვინის აბსცესის მკურნალობის შედეგის საკონტროლოდ.

დამატებით გენტამიცინი

მკურნალობა, რომელიც რეკომენდებულია შერჩეულ ჯგუფში ზოგიერთი პაციენტისთვის

პირველადი პარამეტრები

» **გენტამიცინი:** ბავშვები: ღოზის შესახებ კონსულტაცია გაიარეთ სპეციალისტთან; მოზრდილები: 5-7 მგ/კგ ინტრავენურად, ყოველ 24 საათში ერთხელ

» გენტამიცინით კომბინაციური თერაპია პირველი 14-21 დღის განმავლობაში რეკომენდებულია მძიმე ინფექციების დროს, როგორცაა ბაქტერიემია.[22] [40] გენტამიცინი უნდა გამოვიყენოთ სიფრთხილით რადგანაც მისი გამოყენება დაკავშირებულია თირკმლის უკმარისობასთან. რაზედაც მიუთითებს ორი რეტროსპექტრული კვლევის შედეგი.[44]

» ამინოგლიკოზიდები არ უნდა დაენიშნოთ ორსულებში გარდა აუცილებელი შემთხვევებისა, როცა რისკს სარგებელი აჭარბებს. ამ შემთხვევაში გენტამიცინის

მწვავე

მე-2

გამოყენება დასაშვებია რადგანაც სმენისა და ვესტიბულური ნერვის დაზიანების ალბათობა უფრო დაბალია, ვიდრე სხვა ამინოგლიკოზიდების შემთხვევაში. გენტამიცინი ორსულობის დროს იშვიათად გამოიყენება. აუცილებელია კონსულტაცია ინფექციონისტთან. გენტამიცინი ორსულობის დროს იშვიათად გამოიყენება. აუცილებელია კონსულტაცია ინფექციონისტთან.

ტრიმეთოპრიმ/სულფამეთოქსაზოლი ან მეროპენემი

პირველადი პარამეტრები

» ტრიმეთოპრიმ/სულფამეთოქსაზოლი: ≥ 2 თვის ასაკის ბავშვები: დოზის შესახებ მიმართეთ სპეციალისტს; ზრდასრულები: 10-20 მგ/კგ/დღე ინტრავენურად, დაყოფილი დოზებით, ყოველ 6-12 საათში ერთხელ დოზა მიეკუთვნება ტრიმეთოპრიმის კომპონენტს.

ან

» მეროპენემი: ≥ 3 თვის ასაკის ბავშვები: დოზირების საკითხზე გაიარეთ კონსულტაცია სპეციალისტთან; მოზრდილები: 500 მგ ინტრავენურად, ყოველ 8 საათში

